# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 73 ქვირა, 8 დეკემბერი 1902 წ. გაზეთის № 2007.

## ჰორუსის ბეჭედი

**ბოლესლავ პრუსი**

(გერმანულ თარგმანიდან)

ისმინეთ, რა ამაო და ფუჭია ადამიანის იმედი და რა შეუბრალებელია კანონი, რომელიც მსოფლიოს ბატონობს! შეხედეთ, როგორ საიდუმლოებით არის მოცული ნება, რომელიც ცეცხლის ასოებით დაუწერია ცის კამარაზე უზენაესს!

ასის წლის რამზესი, ეგვიპტეს ყოვლის შემძლე ფარაონი, სიკვდილზე იყო მიღწეული. ბატონი, რომლის ბრძანებაზე მილიონი ხალხი ძრწოდა მთელი ნახევარი საუკუნე, უხილავ ვამპირის დავლა გამხდარიყო. ეს საშინელება ფილტვებიდან ჰაერს უსუნთქავდა, გულიდან სისხლს უსვამდა, ხელებიდან ძალ-ღონეს ართმევდა და ხან გამოშვებით გონებასაც უკარგავდა.

ლივანის წაქცეულ ნაძვსავით იწვა დიდებული ფარაონი ვეფხვის ტყავზე; მთრთოლვარე ფეხებზე წითელი მოსახურავი ეფარა, რომელიც ერთ დროს ეთიოპიის მეფეს ეკუთვნოდა. არ განძრეულა და თვალი არ დაუხამხამებია ისე დააძახებინა კარნაკის ტაძრის სახელგანთქმულსა და ბრძენ მკურნალს.

„ვიცი, რომ ამზადებ წამალს, რომელიც იმ წუთსავე რამზესი წამოიწია ლოგინიდან

„მაშ მე ისე ავად ვყოფილვარ, ქურუმო, რომ ჰბედავ ბრძანება არ შემისრულო! განა ცოცხალი არ არის ჩემი შვილის შვილი, ჩემი ტახტის მემკვიდრე, რომ ჩემი სიკვდილისა გეშინია? იცოდე, ეგვიპტეს ეყოლება მბრძანებელი, რომელიც განაგებს მას. ამიტომ გეუბნები, დამემორჩილე სიტყვის შემოუბრუნებლად!“

ოზირისის ქურუმმა მთრთოლვარე ხელით გაუწოდა საშინელი წამალი. რამზესმა ხელი მოავლო და ერთბაშად ყელში ჩაისხა, თითქოს ანკარა წყაროს წყალი დალიაო. შემდეგ დააძახებინა თებას განთქმულ ასტროლოგს და უბრძანა ვარსკვლავებისათვის თვალ ყური ეგდო და მისთვის ყველაფერი დაუმალავად გადაეცა, რასაც კი დაინახავდა და ამოიკითხავდა.

„სატურნი უკავშირდება მთვარეს,“ სთქვა ბრძენმა, „და ეს იმის ნიშანია, რომ სამეფო გვარის ერთი წევრი მოკვდება. რამზეს! რად მიიღე ის საბედისწერო წამალი? ამაო და ფუჭია მეცნიერება შეუბრალებელი ის ნება, რომელსაც უზენაესი ცის კამარაზე სწერს ცეცხლის ასოებით.“

„ცხადია, სთქვა რამზესმა, „ვარსკვლავები ჩემ სიკვდილს წინასწარმეტყველებენ... როდის დადგება აღსასრულის წამი?“ ჰკითხა მან მკურნალს.




მფარველი.—სურათი სპირლინგისა.

ჰკლავს ადამიანს ან მომაკვდავს სიცოცხლეს უბრუნებს. მომიმზადე ეს წამალი; ჩემი ბედი ასე თუ ისე უნდა გადაწყდეს.“

ბრძენი შეკრთა და სთქვა:

„რამზეს, კარგად მოიფიქრე: რაც შენ ყოვლის შემძლე ღმერთების წრიდან მიწაზე ჩამოსულხარ, ნილოსი ასჯერ გადავიდა თავის ნაპირებს; შემიძლია განამოგცე ისეთი წამალი, რომელიც შიშის ძრწოლას მოჰგვრის თვით სულ ახალგაზდა მხედარსაც კი?

„მზის ამოსვლამდე, რამზეს, ან ნილოსის მარტორქასავით მძლავრი და ღონიერი იქნები ან და შენი ბეჭედი ჰორუსის თითზე იბრწყინებს.“

„შეიყვანეთ ჰორუსი ფარაონების დარბაზში“, სთქვა რამზესმა; „იქ ელოდდეს ჩემ უკანასკნელ ბრძანებას და ბეჭედს, რათა თანახმად ღმერთების ნებისა, მეფობა ერთს წუთსაც კი არ შესწყდეს“.

როცა ჰორუსმა შეიტყო, რომ

და, თვალთაგან ცრემლები წასკდა; გული მისი კეთილშობილი და შემბრალე იყო; მაგრამ რადგან მეფობა ერთის წუთითაც კი ვერ შესწყდებოდა, ჰორუსი ფარაონების დარბაზისაკენ გაემართა ბრწყინვალე და მრავალ რიცხვოვან ამალის თანხლებით. ხმის ამოუღებლად დაჯდა იგი კიბის განიერ საფეხურზე, რომელიც მდინარემდე ჩადიოდა და გამოუთქმელის მწუხარებით გასცქეროდა სურათს, რომელიც მის წინ იშლებოდა.

მთვარე, რომლის ახლოსაც თავი ამოეყო მკრთალ სატურნს, ოქროს ფრად ჰღებავდა ნილოსის ღრმა წყალს; იგი მთელ ქალას ჰფენდა ნათელს და უზარმაზარ პირამიდების ჩრდილი მინდორსა და ბაღებს გადაჰფარებოდა. გვიან იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არსად სანთლები არ დაექროთ, ხალხს სახლი მიეტოვებინა და ქუჩებზე მიდი-მოდიოდა. ნილოსზე დიდძალი ნავები დასრიალებდნენ. ყველგან დიდძალი ხალხი და დიდი მოძრაობა იყო. მაგრამ მაინც ისეთი ღრმა დუმილი იყო, რომ ღამის ნიავს ჰორუსამდე მოჰქონდა წყლის ლერწმის შრიალი და მშიერ აფთრის ღმუილი.

„რას ელიან?“ ჰკითხა ახალგაზდა მემკვიდრემ ერთ კარის კაცს და შეგროვილ ხალხზე მიუთითა.

„ელიან იმ წუთს, როცა ახალ ფარაონს უნდა მიესალმონ და გაიგონ შენი წყალობა, რომელიც, ჩვეულების მიხედვით, შენ მათ უნდა უბოძო.“

მეფობის სიამაყემ პირველად აუძგერა გული ახალგაზდა ბატონიშვილს.

„რას ნიშნავს ის სინათლე, რომელიც შორს მოსჩანს?“ იკითხა ჰორუსმა.

„ქურუმებია, რომელნიც მიდიან დედიშენის საფლავისაკენ, რომ მისი წმინდა ნაშთი სამეფო სასაფლაოში გადაიტანონ.“

ისევ აუძგერდა გული ჰორუსს, მაგრამ მიზეზი მწუხარება და სევდა იყო: საყვარელი დედა, სასტიკ რამზესის ბრძანებით, მონებ შორის დაასაფლავეს, რადგან მეტად მოწყალედ ეპყრობოდა უბედურებსა და დატყვევებულებს.

„ცხენის ხვიხვინი მესმის“, წამოიძახა ჰორუსმა, „ვინ მგზავრობს ამ დროს?“

„დიდი ვეზირი შიკრიკებს გზავნის, რათა გათენებამდე შენი მასწავლებელი იეტრონი მოგიყვანონ.“

ჰორუსმა ამოიოხრა: მოაგონდა მეგობარი, რომელიც დასასჯელად შორს გაგზავნეს, რადგან ტახტის მემკვიდრეს, დიდებულ რამზესის შვილიშვილს, აგონებდა ზიზღს სისხლის ღვრისადმი და სუსტებისა და ჩაგრულების შებრალებას.

„ის რაღა სინათლეა ნილოსის გაღმა?“

ბა და ერთგული და მოსიყვარულე ბერენიკა აქ შენ ხელში იქნება.“

ამ პასუხის მიღების შემდეგ ჰორუსს არაფერი უკითხავს; თავი ხელებს დააყრდნო და ღრმა დუმილს მიეცა.

მაგრამ უცბად მწარედ წამოიკივლა.

„რა ამბავია, ჰორუსს?“

„კრაზანამ ფეხში მიკბინა“, წამოიძახა ტახტის მემკვიდრემ, რომელიც ტკივილისაგან გაფითრებული იყო.

ერთი კარის კაცი დაიხარა და ნაკბენი გასინჯა. „მადლობა ოზირისს, რომ მხოლოდ კრაზანა იყო. ნილოსის ობობას შხამს მომაკვდავი ვერ გადურჩება“.

რა ფუჭი და ამაოა ადამიანის იმედი და რა შეუბრალებელია და უწყალო უზენაესის ნება!...

იმავე წუთს დარბაზში შემოვიდა მთავარ-სარდალი, თაყვანი სცა ჰორუსს და სთქვა:

„დიდებული რამზესი ჰგრძნობს სიკვდილის მოახლოებას და გამომგზავნა შენთან, „წადი ჰორუსთან, მითხრა მან, და შეასრულე მისი ნება, ისე როგორც ჩემსას ასრულებდი. ისიც რომ გიბრძანოს, ზემო ეგვიპტე ეთიოპიელებს დაუთმე და მტერს ძმურის ზავით შეეკარიო, დაემორჩილე, როცა ჩემ ბეჭედს მის თითზე დაინახავ, რადგან მბრძანებელის პირით უკვდავი ოზირისი ლაპარაკობს“.

„ეგვიპტეს ეთიოპიელებს არ დავუთმობ“, სთქვა ჰორუსმა, „მაგრამ ომს კი შევწყვეტ, რადგან ჩემი ხალხის სისხლი მენანება. ეხლავ დაამზადე ბრძანება; როგორც კი პირველი ცეცხლი ჩემ პატივსაცემლად აინთება, ცხენოსანი შიკრიკები სამხრეთისაკენ უნდა გაფრინდნენ და ეთიოპიელებს ჩემი წყალობა მიუტანონ.

მოამზადე მეორე ბრძანებაც, რომ დღეიდან საუკუნოდ აკრძალულია ენა ამოჰგლიჯონ ომის ველზე დამარცხებულ მტერს. მე ვსთქვი“...

მთავარ-სარდალი დარბაზიდან გავიდა ტახტის მემკვიდრის ბრძანების ასრულებლად. თვითონ მემკვიდრე კი მიუბრუნდა ერთ კარის კაცს და სთხოვა კარგად გაესინჯა იარა, რომელიც მეტად სტკიოდა.

„ფეხი დაგსიებია, ჰორუს“, დაიძახა კარის კაცმა. „როგორ მოხდა ეს, თუ შენთვის ობობას არ უკბენია“?

სთქვა თუ არა ეს კარისკაცმა, შემოვიდა დიდი ვეზირი, თაყვანი სცა ჰორუსს და მოახსენა:

„სიკვდილის ჩრდილი თვალს უბნელებს დიდებულ რამზესს. გამომგზავნა შენთან და მითხრა: „წადი ჰორუსთან და



ყველას საყვარელი.—სურათი ლანგეროტისა

„ის სინათლე სალამია, რომელსაც გიგზავნის შენ სატუსაღოდან შენი ერთგული და სათნო ბერენიკა. დიდმა ვეზირმა უკვე გაგზავნა სამეფო ნავი მის მოსაყვანად და როცა წმინდა

ბრმად ემორჩილე; ისიც რომ გიბრძანოს, ყველა ტყვეები და მონები გაანთავისუფლე და ეგვიპტის მიწები მათ გაუნაწილე, დაემორჩილე, როცა კი ჩემ ბეჭედს მის თითზე დაინახავ მბრძანებელის პირით უკვდავი ოზირისი ლაპარაკობს“.

„ჩემი გულის სურვილი ეგრე მაღალი არ არის“, უპასუხა ჰორუსმა, „მაგრამ დაამზადე ბრძანება: ჩემ ხალხს გადასახადი გაუნახევრდება და მონებს კვირაში სამი დღე თავისუფალი

„განა უნდა მოვკვდე?.. და მერე ასეთ დროს! მითხარ დაუ-ფარავად, მალე უნდა მოვკვდე?“

„როცა მთვარე იმ პალმას ამოეფარება“.



მშიერნი.—სურათი და-მოლინოსი.

ქნებათ; გარდა ამისა მხოლოდ სამართალს შეეძლება მათი დასჯა. მომზადე მეორე ბრძანება—ჩემი მასწავლებელი იეტ-რონი, ყველა ეგვიპტელებზე ბრძენი და კეთილ-შობილი, ჩემ-თან უნდა დაბრუნდეს. მე ვსთქვი!!.“

დიდმა ვეზირმა მიწამდე თაყვანი სცა ტახტის მემკვიდრეს და წასვლას აპირებდა, რომ საჩქაროდ შემოვიდა მთავარ-ქუ-რუმი.

„ჰორუს! რამდენიმე წუთში დიდებული რამზესი შეუერთ-დება აჩრდილთა სამეფოში თავის წინაპრებს და ოზირისი მის

„როგორ! ასე მალე? რამზესი რამდენ ხანს იცოცხლებს?“

„ეს არ ვიცი!... შეიძლება მოაქვთ კიდეც შენთან წმინდა ბეჭედი“.

ამ დროს შემოვიდნენ ვეზირები, რომელთაც ჰორუსის ბრძანებანი დაემზადებინათ.

„მიპასუხე“, წამოიძახა ჰორუსმა და ხელი ჩაავლო მთავარ-ქურუმს, „ამ წუთში რომ მოვკვდე, მაინც აასრულებთ ყველა ჩემ ბრძანებას?“

„ღმერთმა პაპიშენის ხანი გაცოცხლოს!“ უპასუხა მთავარ



მაძღარნი.—სურათი და-მოლინოსი.

გულს უტყუარ სასწორზე დასდებს. აქამდე იგი ჩვენი ბატო-ნია, მაგრამ როცა კი მისი ბეჭედი შენ ხელზე დაიწყებს ბრწყინ-ვას, გვიბრძანე და ჩვენც დაგემორჩილებით, თუნდა ამონის სასწაულთ მომქმედ ტაძრის დანგრევა დაგვჭირდეს: მბრძანე-ბელის პირით უკვდავი ოზირისი ლაპარაკობს“.

„მე არ მსურს ტაძრების დანგრევა“, უპასუხა ჰორუსმა; „პირიქით, ახლებს ავაშენებ და ქურუმების საუნჯეს გავამდიდ-რებ. მე მხოლოდ იმას ვთხოულობ, რომ ერთი ბრძანება მოამ-ზადო: ჩემი დედის წმინდა ნაშთი უნდა გადატანილ იქნას სა-მეფო სახლის აკლდამაში. დაამზადე მეორე ბრძანებაც: ჩემი სატრფო ბერენიკა განთავისუფლებულ უნდა იქნას. მე ვსთქვი...“

„ბრძნულად იწყებ შენ მეფობას“, უთხრა მთავარ-ქურუმ-მა. „ეხლავ დავამზადებ ორივე ბრძანებას. როგორც კი წმინდა ბეჭედი შენ თითზე დაიწყებს ბრწყინვას, ავანთებ ამ ლამპარს, რომ მან ამცნოს ხალხს შენი წყალობა და ბერენიკას შენი სიყვარული და თავისუფლება“.

კარნაკის ბრძენთა-ბრძენი მკურნალი შემოვიდა დარბაზში, თაყვანი სცა ბატონს და სთქვა:

„ჰორუს, რა ფერმკრთალი ხარ! მაგრამ ეს არ მაკვირვებს, რადგან რამზესს, შენ პაპას, აღსასრული მოელის. მეფეთა-მე-ფემ ვერ გაუძლო იმ წამლის ძალას, რომელიც ჩემდა უნებუ-რად მივეცი. მხოლოდ მთავარ-ქურუმი დარჩა მასთან, რომ უკანასკნელი სულ-თქმა ნახოს და მოგიტანოს ფარაონების წმინდა ბეჭედი, ნიშანი უსაზღვრო უფლებისა. რა მოგდის, ჰორუს? უფრო და უფრო გეკარგება ფერი!“

„ნახე ჩემი ფეხი“, დაიკვნესა ჰორუსმა, რომელიც იქვე ოქროს სელზე მიაწვინეს.

მკურნალმა დაიჩოქა, ნახა იარა და შეშინებულმა უკან დაიხია.

ქურუმმა, „მაგრამ მაინც იცოდე: ამ წუთსავე რომ უკვდავ ოზირისის ტახტის წინაშე დადგე, ყოველ შენ ბრძანებას ავა-სრულებთ, თუ ზედ ფარაონების წმინდა ბეჭედს დააკრავ.“

„ბეჭედი!“ გაიმეორა ჰორუსმა, „სადღა არის ეს ბეჭედი?“

„ერთმა კარის კაცმა მითხრა“, დაბლა სთქვა ვეზირმა, „რამზესი თავდებაო.“

„ჩემს მოადგილეს ვუბრძანე, რომ იმ წუთსავე წამოიღოს წმინდა ბეჭედი, როგორც კი რამზესის გული ცემას შესწყვეტს“, უთხრა ჰორუსს მთავარ-ქურუმმა.

„გმადლობ, გმადლობ!“ სთქვა გაჭირვებით ჰორუსმა; „გუ-ლი როგორ მტკივა, რომ მივდივარ აქედან... მაგრამ სულ არ მოვკვდები: მშვიდობიანობა და ჩემი ხალხის ლოცვა-კურთხე-ვა აქ დარჩება; ჩემი ბერენიკაც თავისუფალი იქნება. რამდენი ხნის სიცოცხლე დამრჩა?“ ჰკითხა მან მკურნალს

„სიკვდილი შორს არ არის“, უპასუხა მწუხარედ მკურნა-ლმა.

„ფეხის ხმა არ გესმით?“ იკითხა ჰორუსმა, მაგრამ არა ისმოდა რა.

მთვარე უფრო და უფრო უახლოვდებოდა პალმას.

„რამდენი მანძილი აკლია?“ იკითხა ჰორუსმა.

„რვაასი ნაბიჯი“, უპასუხა მკურნალმა. „მე ვშიშობ, ბატონო, რომ ვერ მოასწრობ ყველა ბრძანებაზე დააკრა ბე-ჭედი, თუნდ ეხლავე რომ მოგიტანონ“.

„მომეცით აქ დამზადებული ბრძანებანი“, სთქვა ტახტის მემკვიდრემ და თან ყური რამზეს-ს ოთახისაკენ ჰქონდა.

„და შენ, მკურნალო, მითხარი დრო გამოშვებით, თუ რამდენი სიცოცხლე დამრჩა; მინდა ის ბრძანება დავიტოვო ხელში და დავაკრა ბეჭედი, რომელიც უფრო სასურველია ჩემთვის“.

„ექვსასი ნაბიჯი“, სთქვა მკურნალმა.

„ხუთასი ნაბიჯი“.

ბრძანება ეთიოპიელებთან ზავის ჩამოგდების შესახებ ხელიდან გავარდა.

„ფეხის ხმა არ ისმის?“

„ოთხასი ნაბიჯი“.

ჰორუსი ცოტა ჩაფიქრდა და ბოლოს გადააგდო ბრძანება ძეძის ნაშთის გადმოტანის შესახებ.

„სამასი ნაბიჯი“.

იეტრონის დაბრუნების შესახები ბრძანებაც იატაკზე დაეცა.

„ორასი ნაბიჯი“.

ჰორუსს ტუჩები გაულურჯდა და მთრთოლვარე ხელებიდან გაუვარდა ბრძანება, რომელიც ომის ველზე დატყვევებულებს ეხებოდა. დარჩა მარტო ბერენიკას განთავისუფლების ბრძანება.

სამარისებურ სიჩუმეში მოისმა ჩქარი ფეხის ხმა. მთავარქურუმის მოადგილე შემოიჭრა ფარაონების დარბაზში. ჰორუსმა ხელი გაუწვდინა.

„ოჰ, სასწაულებავ“! დაიძახა ქურუმმა, „დიდებული რამზესი სრულებით სალი წამოდგა სასიკვდილო სარეცლიდან და სურს გათენებისას ლომებზე სანადიროდ წავიდეს. თავის მეფურ წყალობის ნიშნად გთხოვს, ჰორუს თან წაჰყვე“.

ჰორუსმა ერთხელ კიდევ შეხედა გამოუთქმელის მწუხარებით მზეუტავ სინათლეს, რომელიც ნილოსის გაღმა მოსჩანდა, და ორი ცრემლი, ორი სისხლნარევი ცრემლი, ჩამოგორდა მის მშვენიერ სახეზე.

„პასუხს რად არ მაძლევ, ჰორუს“? წამოიძახა რამზესის მოციქულმა.

„განა ვერ ხედავ, რომ მკვდარია“? უპასუხა კარნაკის ბრძენთა-ბრძენმა.

ისმინეთ, რა ფუჭი და ამაოა ადამიანის იმედი და რა შეუბრალებელია ნება, რომელიც ცეცხლის ასოებით დაუწერია ცის კამარაზე მარადის მყოფელს!

## ბათუმის ხმოსნების არჩევნები.



ეჰ! მიმაფრენენ უგზო-უკვლოდ ჩემი მერნები,
თავს დამჩხავიან მე ბედშავსა შავი ყორნები.
გასწით, მერანნო, თქვენს ჭენებას არ აქვს საზღვარი,
ნიავს მიეცით ფიქრი ჩემი შავად მღელვარი.

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება
და გზა უვალი, თქვენგან თელილი, მერანნო ჩემნო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად ჩემს მსგავსსა გმირსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი ამავე გზითა გამოუქროლდეს.

## ტფილისის ქალაქის თავის არჩევა.




ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს!...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.